

## ხეხილის ბაღის გაშენება

ბაღის გაშენებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი წინასწარ უნდა გადაიჭრას: ეს საკითხებია:

საბაღე ნაკვეთის შერჩევა;

1. გრუნტის წყლების დგომის დონის დადგენა;
2. კლიმატური პირობების თავისებურებანი;
3. სარწყავი წყლით უზრუნველყოფა;
4. კვების არის დადგენა;
5. გაადგილების წესი;
6. ჯიშების შერჩევა (გამანაყოფიერებელი).

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბაღე ნაკვეთის შერჩევას. თუ ეს არ იქნა გათვალისწინებული ხეხილის ბაღი შეიძლება დაზიანდეს: ყინვებით, გაზაფხულის წაყინვებით, დამწვრობით, ფესვის სიღამპლით და სხვა. საბაღე ნაკვეთის ადგილმდებარეობას განსაზღვრავს გეოგრაფიული მხარე და ნიადაგის ქანების მიმართ ხეხილის მოთხოვნა. რელიეფური პირობების შესაბამისად, იცვლება ნიადაგის ტენიანობა. ბაღის გაშენება შეიძლება და უკეთესია სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის 4-5°C დაქანების ფერდობზე.

საბაღე ნაკვეთის შერჩევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კლიმატური პირობები, ნალექების რაოდენობა, ტემპერატურის მინიმუმი და მაქსიმუმი, უყინვო ამინდების ხანგრძლივობა, ქარების მიმართულება და სიძლიერე, აუცილებელია წყლით მომარაგების საკითხის მოგვარება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქარების მიმართულებებისა და სიძლიერის დადგენა: ძლიერი ქარები ნიადაგიდან გაძლიერებით აორთქლებს ტენს, იწვევს ხეების გადახრას, ვარჯის არათანაბარ განვითარებას, ყვავილების შეჭკნობას, განაყოფიერების შემცირებას, ნაყოფცვენას, ხელს უშლის ფუტკრის მუშაობას, ბაღში წამლობის ჩატარებას, ამიტომ უმჯობესია ნაკვეთი შეირჩეს ქარებისაგან ბუნებრივად დაცულ ადგილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება კარგად მოწყობილი ბაღსაცავი (ქარსაფარი) ზოლების გაშენება.

ადგილის შერჩევის შემდეგ საჭიროა საბაღე ნაკვეთის მოწყობა. ბაღსაცავი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ადიდებს ნიადაგის და ჰაერის ტენიანობას, აწესრიგებს წყლის რეჟიმს, ამცირებს ნიადაგიდან ტენის აორთქლებას, რაც ხელს უწყობს უხვი და რეგულარული მოსავლის მიღებას. აღმოსავლეთ საქართველოში (გორი, ქარელი, ხაშური, მცხეთა, კასპი) ზღვის დონიდან 500 -1000 მეტრის სიმაღლეზე, ქარსაფარი ზოლების ძირითადი წამყვანი ჯიშებია: ალვის ხე; კანადის ვერხვი; შავი ფიჭვი; კაკალი; პანტა; ხეჭეჭური.

საბაღე ნაკვეთის მომზადებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის მოხვნის სიღრმეს, ნაკვეთის სწორად შესარჩევად აუცილებელია ნიადაგის დეტალური გამოკვლევა \_ საველე და ლაბორატორიულ პირობებში, რაც განმსაზღვრელია პლანტაჟის სიღრმის დასადგენად.

17.05.2010

ფესვთა სისტემის ნიადაგში ჩაღწევა დამოკიდებულია ნიადაგის ფენების თავისებურებებზე. წინასწარ უნდა დადგინდეს ნიადაგის ვარგისიანობა, მისი შედგენილობა კონკრეტულ პირობებში.

საბაღე ნაკვეთის მომზადებისას ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის მოხვნის ვადებს: აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ნიადაგი უნდა მოიხნას არა უგვიანეს 30 სექტემბრისა შემოდგომით გაშენებისას, ხოლო გაზაფხულზე გაშენებისას არა უგვიანეს 15 დეკემბრისა. ამავდროულად საჭიროა მკვეთრად განისაზღვროს ბაღში გასაშენებელი კულტურის კვების არეები.

ნაკვეთის დაგეგმვა: ნაკვეთის მომზადების შემდეგ საჭიროა ნაკვეთის დაგეგმვის წესის განსაზღვრა რას ავირჩევთ: კვადრატულს, ჭადრაკულს, სწორკუთხედურს.

ხეხილის დარგვის ვადები: ბაღის შემოდგომით დარგვას უპირატესობა აქვს, გაზაფხულზე დარგულთან შედარებით. ფესვთა სისტემა ადრე იწყებს ვეგეტაციას და მცენარის საკვებით მომარაგებას, რაც უზრუნველყოფს ნამყენი ნერგის გახარების მაღალ პროცენტს.

საბაღე ნაკვეთის შერჩევის, მომზადების და დაგეგმვის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ ორმოების დროულად ამოღებასა და ნამყენი ნერგის დარგვაზე. ნაკვეთი, სადაც ღრმა მოხვნა-პლანტაჟი ნაკვეთის სიმცირის გამო არ ჩატარებულა, ორმოების ამოთხრას იწყებენ დარგვამდე 1 - 1,5 თვით ადრე. ნიადაგის წინასწარი ღრმა მოხვნა-პლანტაჟით დამუშავებისას, ორმოების ამოთხრას იწყებენ დარგვამდე რამოდენიმე 2 - 3 დღით ადრე. ხეხილის დარგვამდე ორმოების ამოთხრა მიზანშეწონილია, რადგან ამოღებული მიწა მზის, წვიმებისა და ჰაერის ზეგავლენით კარგად ფხვიერდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ წლებში ახალგაზრდა ნარგაობის გახარება-განვითარებისთვის.

ორმოს სიღრმე და სიგანე დამოკიდებულია ნიადაგის და ქვენიადაგის შედგენილობაზე. ნიადაგი, სადაც უფრო ფხვიერია, ორმოები შეიძლება შედარებით პატარა ამოთხაროს. კირიან და ხრეშიან ნიადაგში უმჯობესია განიერი და ღრმა ორმოების ამოღება. თუ ნიადაგი ფხვიერია, ხოლო ქვენიადაგი წყლის არაგამტარი, თიხისა და კლდის ფენებისაგან შედგება, ორმოები ამოიღება თიხის ფენებამდე, რათა ორმოში წყალი არ დაგუბდეს, ნიადაგი არ დაჭაობდეს და ფესვების ლპობა არ გამოიწვიოს. საერთოდ მიღებულია 60 სმ სიგანის და 50 სმ სიღრმის ორმოების ამოთხრა.

ზედაპირული სახნავი ჰორიზონტის ნიადაგი, მის ქვედა ფენებთან შედარებით, მდიდარია საკვები ნივთიერებებით, ამიტომ დასარგავი ორმოს ამოთხრისას ზედა ჰორიზონტის ნიადაგი ორმოს ძირში ხეხილის ფესვებთან უნდა ჩავყაროთ, ამისთვის ორმოს ამოთხრისას ნიადაგის ზედა ფენას (დაახლოებით 25- სმ) ორმოს ერთ მხარეს ჰყრიან, ქვედას კი მეორე მხარეს.

ხეხილის დარგვისას ორმოში უნდა შევიტანოთ 12 - 15 კგ ორგანული სასუქი, კარგად გაფხვიერებული ნიადაგი დარგვისას ნიადაგი კარგად უნდა მოიტკეპნოს, გაუკეთდეს ჯამები, ნერგი აიკრას სარზე, გაშენებისთანავე და შემდგომ პერიოდში, საჭიროა მორწყვა, რაც გაზრდის ნერგის გახარების პროცენტს.